საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 644 2020 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რეაგირების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

1. კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და გლობალური დეფიციტების გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩართულობით სამხრეთ კორეულ კომპანია SD BIOSENSOR, INC-ისგან კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტების შესყიდვის მიზნით, დაევალოს საქართველოს ოკუპირებული, ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განახორციელოს სამხრეთ კორეულ კომპანია SD BIOSENSOR, INC-ისთვის ავანსის სახით მოსაწოდებელი

საქონლის მთლიანი ღირებულების წინასწარ გადარიცხვა (ინვოისის საფუძველზე, მომწოდებელ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და საავანსო თანხის გარანტიის წარმოდგენის გარეშე).

2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური არხების გამოყენებით, ხელი შეუწყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის დროული და შეუფერხებელი მოწოდების (მათ შორის, ტრანსპორტირების) მიზნით საჭირო მოლაპარაკებების/კომუნიკაციის წარმოებას/დასრულებას და უზრუნველყოს პროცესის მონიტორინგი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**